საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 004045

„11" ოქტომბერი 2024 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
დეპარტამენტი. მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასალის I შესახვევი №2.

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ს.ხ. ქუთაისის ჭიშკარი" ს/კ 40001326
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
მის: ქ. თბილისი, დიღმის ს-ნი, ლიტერის ქ №11, კორ. 2 ბ. 54. ტელ:
[redacted] ...იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
[redacted] 2019 წლის 22 ოქტომბრის
№2-1125 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004045
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1.
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: ობიექტ №:004045 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2.

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 7 ფურცელი.

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

79^8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: კონტროლის ზედამხედველობის და

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

[illegible] დეპარტამენტის მოადგილე - მთავარი სპეციალისტი

ინსპექტორი ნინო [illegible]

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 11 სექტემბრის №004045 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 30 მაისის №DES 4 24 00000233 ბრძანების საფუძველზე, 2024 წლის 03 ივნისიდან 14 ივნისის ჩათვლით, განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. კრწანისში განთავსებული, შპს "ს.რ ბელგიური ჯგუფი"-ს (ს/კ 400013267) კუთვნილი ასფალტის საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 22 ნოემბრის №2-1125 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. მინისტრის 2019 წლის 22 ნოემბრის №2-1125 ბრძანების **მე-3 პუნქტის თანახმად**, შპს "ს.რ ბელგიური ჯგუფი" საქმიანობას არ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:

1.1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, საწარმო განთავსებულია უნდა იყოს 5000 $მ^2$ ფართობზე, საკადასტრო კოდით: 81.04.18.037 რეგისტრირებულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. ინსპექტირებით დადგინდა, რომ ასფალტის **საწარმოს ძირითადი ნაწილი** მოქცეულია საკადასტრო კოდით 81.04.18.037 რეგისტრირებულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ფართობი 5000 $მ^2$), **ხოლო ინერტული მასალების (ნედლეულის) დასაწყობების უბანი** ხვდება საკადასტრო კოდით 81.04.18.043 რეგისტრირებულ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე;

1.2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, **ღორღის ფრაქციისთვის** განკუთვნილი **ნედლეულის საწყობი უნდა იყოს ღია ცის ქვეშ**, ხოლო **ქვიშის** ფრაქციისთვის განკუთვნილი საწყობი **მოქცეული უნდა იყოს სახურავის ქვეშ**. ასევე, პერიმეტრზე შემოვლებული უნდა იყოს 25 სმ. სიმაღლის კედელი, რათა არ მოხდეს წვიმის წყლის შერევა ქვიშასთან და მისი შემდგომი გავრცელება. ინსპექტირებით დადგინდა, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით ინერტული მასალების, როგორც

ღორღის, ასევე ქვიშის ფრაქციის დასაწყობება ხორციელდება ღია ცის ქვეშ, ხოლო პერიმეტრზე არ არის შემოვლებული 25 სმ. სიმაღლის კედელი;

1.3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების შეგროვება უნდა მოხდეს სეპარირებულად - სპეციალურ კონტეინერებში, რომლებიც განთავსებული უნდა იყოს ნარჩენების წარმოქმნის უბანთან ახლოს. ამასთან, სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის, დახურულ შენობაში მოწყობილი უნდა იყოს შესაბამისი სასაწყობო სათავსი. ინსპექტირებით დადგინდა, რომ შპს "ს.რ ბელგიური ჯგუფი" არ ახორციელებს ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას, საწარმოს ტერიტორიაზე არ ფიქსირდება სხვადასხვა სახის ნარჩენისთვის განკუთვნილი ურნები, ასევე, სახიფათო ნარჩენების განცალკევებულად შეგროვებისთვის, არ არის მოწყობილი შესაბამისი სათავსი;

1.4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, ბიტუმსაცავების განთავსების ადგილი დაფარული უნდა იყოს ტენშეუღწევადი მასალით, ხოლო პერიმეტრზე შემოვლებული უნდა იყოს 25 სმ. სიმაღლის კედელი, რათა არ მოხდეს წვიმის წყლის და დაღვრილი ბიტუმის შერევა ქვიშასთან და მისი შემდგომი გავრცელება. ინსპექტირებით დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე დამონტაჟებულია 2 ბიტუმსაცავი, რომელთა ძირიც დაფარულია ბეტონის - ტენშეუღწევადი საფარით, თუმცა პერიმეტრზე არ არის მოწყობილი 25 სმ. სიმაღლის კედელი;

1.5. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, ავარიული სიტუაციების წარმოქმნის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული უნდა იყოს ქმედითუნარიანი სახანძრო ინვენტარი: სტანდარტული ხანძარმქრობები (ყველა მუდმივ უბანზე, ყველა მანქანასა თუ დანადგარზე), სათანადოდ აღჭურვილი ხანძარმქრობი დაფები (ყველა მუდმივ უბანზე), ქვიშა, ნიჩბები და ა.შ. ასევე, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების საჭიროების მიზნით, სტანდარტული სამედიცინო ყუთები. ინსპექტირებით დადგინდა, რომ საწარმო არ არის აღჭურვილი ხანძარმქრობი ინვენტარით და პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთებით;

2. მინისტრის 2019 წლის 22 ნოემბრის №2-1125 ბრძანების მე-4 პუნქტის თანახმად, შპს "ს.რ ბელგიური ჯგუფი" ვალდებულია ექსპლუატაციის დაწყებამდე, უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმება და ნარჩენების მართვა განახორციელოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების

მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად. ნარჩენების მართვა განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად. ინსპექტირებით დადგინდა, რომ შპს "ს.რ ბელგიური ჯგუფი"-ს, არ აქვს შემუშავებული და სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენილი კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა და ფუნქციონირებს გეგმის გარეშე. ასევე, დადგინდა, რომ კომპანიას სამინისტროში არ აქვს წარდგენილი ინფორმაცია გარემოსდაცვითი მმართველის თაობაზე;

3. მინისტრის 2019 წლის 22 ნოემბრის №2-1125 ბრძანების მე-6 პუნქტის თანახმად, შპს "ს.რ ბელგიური ჯგუფი" ვალდებულია საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, 3 თვეში ერთხელ უზრუნველყოს მონიტორინგის წარმოება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე, ასევე 3 თვეში ერთხელ ინსტრუმენტული მეთოდით უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე მონიტორინგის განხორციელება, უახლოეს მოსახლესთან. ამასთან, ვალდებულია შედეგები წარმოდგინოს სამინისტროში 6 თვეში ერთხელ. ინსპექტირებით დადგინდა, რომ შპს "ს.რ ბელგიური ჯგუფი"-ს მიერ, სამინისტროში არ არის წარდგენილი ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე, 3 თვეში ერთხელ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები ასევე, არ არის წარდგენილი უახლოეს მოსახლესთან, ინსტრუმენტული მეთოდით, 3 თვეში ერთხელ განხორციელებული, ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის შედეგები.

შემოწმების შედეგებზე, 2024 წლის 20 აგვისტოს, შედგა შემოწმების შესახებ ინსპექტირების №005931 აქტი, ხოლო გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 21 აგვისტოს, შპს "ს.რ ბელგიური ჯგუფი"-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი №091137, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 798-ე მუხლის პირველი ნაწილის, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 42-ე მუხლის შესაბამისად.

აღნიშნული ოქმი განხილული იქნა დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირის მიერ და 2024 წლის 21 აგვისტოს გამოტანილი იქნა №001059 დადგენილება, რომლის საფუძველზეც, შპს "ს.რ ბელგიური ჯგუფი" სცნო სამართალდამრღვევად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8-ე მუხლის პირველი ნაწილის, ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ასევე 42-ე მუხლის შესაბამისად და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, შპს "ს.რ ბელგიური ჯგუფი"-ს გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს "ს.რ ბელგიური ჯგუფი"-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 11 სექტემბრის № 004045 ადმინისტრაციული მიწერილობა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 30 მაისის №DES 4 24 00000233 ბრძანების საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. კრწანისში განთავსებული, შპს "ს.რ ბელგიური ჯგუფი"-ს (ს/კ 400013267) კუთვნილი ასფალტის საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 22 ნოემბრის №2-1125 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს "ს.რ ბელგიური ჯგუფი" ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ, საქმიანობის განხორციელება, მუდმივად უზრუნველყოს** გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (მინისტრის 2019 წლის 22 ნოემბრის №2-1125 ბრძანების **მე-3 პუნქტი). მათ შორის:**

1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ინერტული მასალების (ნედლეულის) დასაწყობების უბნის მოწყობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილულ ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთი - საკადასტრო კოდით: 81.04.18.037);

1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ქვიშის ფრაქციის დასაწყობება გადახურულ ტერიტორიაზე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად და **ამავე ვადაში უზრუნველყოს** 25 სმ. სიმაღლის კედელის მოწყობა, რათა არ მოხდეს წვიმის წყლის შერევა ქვიშასთან და მისი შემდგომი გავრცელება;

1.3. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ბიტუმსაცავის პერიმეტრზე 25 სმ. სიმაღლის კედელის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, წვიმის წყლის და დაღვრილი ბიტუმის ქვიშასთან შერევისა და მისი შემდგომი გავრცელების პრევენციის მიზნით;

1.4. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში,** გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად და ავარიული სიტუაციების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, უზრუნველყოს საწარმოს აღჭურვა ქმედითუნარიანი სახანძრო ინვენტარით (სტანდარტული ხანძარმქრობები - ყველა

მუდმივ უბანზე, ყველა მანქანასა თუ დანადგარზე, სათანადოდ აღჭურვილი ხანძარმქრობი დაფები - ყველა მუდმივ უბანზე, ქვიშა, ნიჩბები და ა.შ.) და **ამავე ვადაში უზრუნველყოს** გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების საჭიროებისთვის სტანდარტული სამედიცინო ყუთებით საწარმოს აღჭურვა;

2. საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განახორციელოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების, ასევე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად (მინისტრის 2019 წლის 22 ნოემბრის №2-1125 ბრძანების **მე-4 პუნქტი). მათ შორის:**

2.1. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის** ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად წარადგინოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა. შეთანხმების შემდგომ **ნარჩენების მართვა განახორციელოს სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;**

2.2. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში,** გარემოსდაცვითი მმართველის ვინაობის შესახებ ინფორმაცია (კერძოდ, გარემოსდაცვითი მმართველის სახელი და გვარი), აცნობოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს;

2.3. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და საქმიანობის განხორციელების პროცესში მუდმივად** უზრუნველყოს საწარმოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების **სეპარირებული შეგროვება,** გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

2.4. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში,** ნარჩენების წარმოქმნის უბანთან ახლოს, უზრუნველყოს საწარმოს აღჭურვა სპეციალური მარკირებული კონტეინერებით;

2.5. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენების განცალკევებულად შეგროვებისათვის, ასევე სახიფათო ნარჩენების გარემოში მოხვედრის პრევენციისა და კონტროლის მიზნით, სათავსის მოწყობა, შესაბამისი მაფრთხილებელი ნიშნებით;

3. ადმინისტრაციული **მიწერილობის ჩაბარებიდან საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე,** კანონმდებლობით დადგენილი წესით, 3 თვეში ერთხელ (2024 წლის განმავლობაში IV კვარტალში და შემდგომ წლებში - ყოველკვარტალურად), უზრუნველყოს მონიტორინგის წარმოება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის

წყაროებზე, ასევე 3 თვეში ერთხელ (2024 წლის განმავლობაში IV კვარტალში და შემდგომ წლებში - ყოველკვარტალურად), უზრუნველყოს უახლოეს მოსახლესთან, ინსტრუმენტული მეთოდით ატმოსფერულ ჰაერზე მონიტორინგის განხორციელება, ასევე, უზრუნველყოს შედეგების 6 თვეში ერთხელ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენა. ამასთან, **2024 წლის შედეგების წარმოდგენა** უზრუნველყოს **არაუგვიანეს 2025 წლის 15 თებერვლის ჩათვლით** (მინისტრის 2019 წლის 22 ნოემბრის №2-1125 ბრძანების **მე-6 პუნქტი**).